განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საერთაშორისო ურთიერთობები
ბაკალავრიატი

შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებელი

შეფასება განხორციელდა 2019 წლის 22 აპრილს

დასკვნის წარდგენის თარიღი
7 ივნისი 2019 წელი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებელი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	404916203
დაწესებულების სახე	კოლეჯი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში, 0705
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტირებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით გეგეჭკორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ფირცხელანი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საბაკალავრო პროგრამამ „საერთაშორისო ურთიერთობები“ 2014 წელს გაიარა აკრედიტაცია (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №146, 01.07.2014), ამჟამად კი წარდგენილია რეაკრედიტაციაზე. პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს თეორიულ და პრაქტიკულ კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა საერთაშორისო უსაფრთხოების, პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობებისა და თანამედროვე პოლიტიკური პროცესების შესახებ და ორიენტირებულია გამოუმუშავოს სტუდენტებს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების გააზრების, განზოგადების, საკითხის დასმისა და ამ პრობლემებისადმი თეორიული ცოდნის მისადაგების, მულტიკულტურულ გარემოში ურთიერთპატივისცემის და ეთიკურ-მორალური პრინციპების დაცვის უნარი, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

მიზნიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგები და ამ შედეგების მიღწევის სწავლის მეთოდები. საბაკალავრო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობები“ მოიცავს 240 კრედიტს. პროგრამა ითვალისწინებს როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სასწავლო კურსებისათვის განსაზღვრულ კრედიტებს. საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კომპონენტების თანაფარდობა შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: სავალდებულო სასწავლო კომპონენტები 165 კრედიტი (70 კრედიტი - არასპეციალობის კომპონენტი: 10 კრედიტი საკომუნიკაციო კომპეტენციებზე მიმართული არასპეციალობის სასწავლო კურსები და 60 კრედიტი ინგლისური ენის კომპონენტი; 95 კრედიტი - სპეციალობის კომპონენტი, მათ შორის: 85 კრედიტი სასწავლო კურსები, 10 კრედიტი პრაქტიკა); ხოლო არჩევით სასწავლო კურსებს დათმობილი აქვს 75 კრედიტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 22 აპრილს. უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში 10:00 საათიდან 18 საათამდე მიმდინარეობდა სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე), თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, საუდიტორიო ოთახები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. ვიზიტი მიმდინარეობდა კომფორტულ გარემოში და ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ კონსტრუქციული დიალოგისა და თანამშრომობისა გარემოში ობიექტურად შეეფასებინათ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით პროგრამის სტანდარტები და კომპონენტები შემდეგნაირად არის შეფასებული: კერძოდ, პირველი სტანდარტი, მეორე სტანდარტი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი სრულად შეესაბამება მოთხოვნებს.

- **რეკომენდაციები**

  - ხაზგასასმელია, რომ ინტერნაციონალიზაციის პროცესები აღნიშნულ უნივერსიტეტს დაწყებული აქვს, თუმცა აუცილებელია მოცემული პროცესები გაღრმავდეს მიმდინარე პროგრამის ფარგლებში, რათა სამომავლოდ მეტად იქნას უზრუნველყოფილი სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში ჩართულობა და საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო განავითარებს სტუდენტების შესაძლებლობებს და მეტად ხარისხიანს გახდის საგანმანათლებლო პროგრამას.
  - რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგების სისტემატური შეფასების დანერგვა დაპროგრამის სწავლის შედეგების გეგმის და რუკის შემდგომი დახვეწა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  1. სასურველია ინტერნაციონალიზაციის გეგმის შესაბამისად ახალი მემორანდუმების გაფორმება უცხოურ უნივერსიტეტებთან;
  2. სასურველია ინგლისურენოვანი კურსების შექმნა, რომლებსაც შესთავაზებენ ერასმუს+ პროგრამით ჩამოსულ ევროპელ სტუდენტებს;
  3. პროგრამის განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია სფეროში მოღვაწე იმ პირების ჩართულობა, რომლებიც სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობენ და შეუძლიათ თეორიულთან ერთად პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება სტუდენტებისთვის;
  4. სასურველია სასწავლო პროგრამაში მითითებული სავალდებულო უცხო ენა 1 (2) შესწორდეს და მეტი სიცხადისთვის მოხდეს მისი აღიარებული წესით ჩაწერა - ინგლისური ენა A.1-დან ინგლისური ენა B.2-მდე. აგრეთვე, გადაიხედოს დარგობრივი ინგლისური ენის ნაწილი. ვფიქრობთ ის შესაძლებელია მიეწოდის სტუდენტს B.2 დონის გავლის შემდეგ და ამისთვის საკმარისია 5-10 კრედიტი.
  5. დაკონკრეტდეს სავალდებულო მეორე უცხო ენა 1 (2) (გერმანული/ფრანგული) შესაბამისი დონეების მითითებით.
  6. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი ბლოკი მაქსიმალურად მიუახლოვდეს პროგრამას. საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა - გადაზიდვების სამართალი ბიზნესის ადმინისტრირების სფეროა და მას საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამა ვერ შესთავაზებს სტუდენტს.

7. საგანს „პოლიტიკის მეცნიერებების საფუძვლები“ შეეცვალოს სახელი და დაერქვას "პოლიტიკის შესავალი" ;
8. საგანს „გეოპოლიტიკა - წარსული და თანამედროვეობა“ შეეცვალოს სახელი და დაერქვას "გეოპოლიტიკა";
9. საგანს „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები“ შეეცვალოს სახელი და დაერქვას "კვლევის მეთოდები";
10. საგანი „ნაციონალიზმის თეორია“ გადავიდეს არჩევით ბლოკში, ხოლო საგანი „პოლიტიკური იდეოლოგიები“ გადმონაცვლდეს ძირითადში;
11. სასურველია პროგრამის ფარგლებში სალექციო კურსის/ვორკშოპის ჩასატარებლად მოიწვიოს დარგის უფრო მეტი უცხოენოვანი სპეციალისტი/ექსპერტი;
12. სასურველია, სამომავლოდ პროგრამის განხორციელებაში, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და საუკეთესო პრაქტიკის გადმოღების მიზნით, უფრო მეტი მოწვეული უცხოელი სპეციალისტების ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში;
13. სასურველია სამომავლოდ გამრავალფეროვანდეს და განვითარდეს ბიბლიოთეკის ფონდი, შეივსოს და გამდიდრდეს საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამის კურსების თემატიკის შესაბამისად თანამედროვე ლიტერატურით და იმ დამატებითი გამოცემებით, რომლებიც მიმოიხილავენ საერთაშორისო ურთიერთობების დარგის უახლეს გამოწვევებს;
14. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ სტუდენტებს აქვთ გამოყოფილი დასასვენებელი სივრცე, სასურველია სამომავლოდ მოეწყოს სტუდენტებისათვის სასადილო სივრცე, იმ სახით რომლითაც სარგებლობა მიმზიდველი იქნება სტუდენტებისათვის;
15. სასურველია პერიოდულად მოხდეს პროგრამის შედარება სხვა ანალოგიურ პროგრამებთან თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
16. სასურველია დაინერგოს კურსდამთავრებულებთან მუდმივი კომუნიკაციის და სისტემური მიდგომების პრაქტიკა, რათა მოხდეს პროგრამის შეფასების მიზნით მათთან უკეთ თანამშრომლობის უზრუნველყოფა.
17. ინტერნაციონალიზაციის პროცესებში აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობის მიზნით, სამომავლოდ უზრუნველყოფილი იქნას ერაზმუს+ ის და/ან სხვა შესაბამისი პროგრამის ფარგლებში აკადემიური პერსონალის მობილობა საერთაშორისო მაღალრეიტინგულ უნივერსიტეტებში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

1. აღსანიშნავია, რომ ახალი უმაღლესი სასწავლებელი სტუდენტების მოტივაციის ამაღლებისთვის აფინანსებს მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებსა და ტრენინგებზე დასწრებას და ასევე სთავაზობს მათ შეღავათებს სწავლის საფასურის გადახდაში. ამასთანავე, სასწავლებელში ფუნქციონირებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი, რომელიც სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, სისტემატურად აწყობს დასაქმების ფორუმებს;

2. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო გარემოში სტუდენტების ადაპტაციის გაადვილების მიზნით, 2018 წლის აპრილში უნივერსიტეტის მიერ მოწვეული იქნა ინგლისური ენის სპეციალისტი ამერიკის შეერთებული შტატებიდან. სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ ინგლისური ენის კურსის დასრულებისთანავე დაუფლებოდნენ ინგლისურ ენას B2 დონეზე და მიეღოთ შესაბამისი დონის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი. ინგლისური ენის უფასო კურსებთან ერთად, ახალი უმაღლესი სასწავლებელი საშუალებას აძლევს სტუდენტებს უფასოდ დაეუფლონ პოლონურ ენას და პოლონური ენის კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ სწავლა გააგრძელონ ვარშავის სხვადასხვა უნივერსიტეტში სასტიპენდიო პროგრამებით.

3. აღსანიშნავია, რომ სასწავლებლის სტუდენტები სარგებლობენ როგორც შეღავათიანი საგადასახადო სისტემით, ასევე ეფექტური სასტიპენდიო პროგრამით. ასევე სარგებლობენ სასწავლო უნივერსიტეტის მხრიდან სრული ფინანსური მხარდაჭერით სამეცნიერო კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით. ყოველივე ეს კი თავის მხრივ უზრუნველყოფს სამომავლოდ კვალიფიციური და მაღალპროფესიული კადრების მომზადებას და ამაღლებს სტუდენტებში შემდგომი სამეცნიერო საქმიანობის გაგრძელების მოტივაციას.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელ ჯგუფთან ერთად სრულად გაითვალისწინა 2014 წელს აკრედიტაციის დროს ექსპერტთა მიერ გამოთქმული რჩევები და რეკომენდაციები. სახეზეა პროგრამის განვითარების ტენდენციები, დაიხვეწა პროგრამის მიზნები, მრავალფეროვანი გახდა სასწავლო კომპონენტი, გაძლიერდა პრაქტიკის კომპონენტი და ასევე სტუდენტებისათვის შეთავაზებულია კვლევითი კომპონენტის არჩევის შესაძლებლობაც.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია ახალი უმაღლესი სასწავლებლის მისიასთან, რომელიც ეფუძნება საზოგადოების ინტელექტუალური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას; ახალი ცოდნის შექმნას, შენახვას და გავრცელებას; სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას; უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა, რომ პროგრამის განახლებაში და დახვეწაში გამოყენებული იქნა უცხოეული კოლეგების გამოცდილებაც, რამაც საშუალება მისცა პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, ჩამოეყალიბებინათ სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვისა და გამოყენების მიმართულებით ახლებური ხედვები და გადმოეტანათ იგი პრაქტიკაში. პროგრამის ადმინისტრაცია საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით აგრძელებს მუშაობას საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის განვითარებისა და ახალი კონტაქტების დამყარების მიმართულებით. ამჟამად მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა ვარშავის, მოლდოვისა და კიევის უნივერსიტეტებთან. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის დანერგვა და მისი შემდგომი გაუმჯობესება დაფუძნებულია ასევე შრომის ბაზრის კვლევაზე. სასწავლო უნივერსიტეტი პერიოდულად ატარებს შრომის ბაზრის კვლევას და ასევე იყენებს მეორად მონაცემებს ანალიზისა და ტენდენციის გამოსავლენად, რომელსაც ითვალისწინებს პროგრამის გაუმჯობესება განახლების პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის მისია; ○ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები; ○ ახალი უმაღლესი სასწავლებლის მისია; ○ ახალი უმაღლესი სასწავლებლის ვებ-გვერდი www.newuni.edu.ge ; ○ შრომის ბაზრის კვლევა; ○ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ შრომის ბაზრის კვლევის შედეგები; ○ გასაუბრება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან;
რეკომენდაციები: ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია ინტერნაციონალიზაციის გეგმის შესაბამისად ახალი მემორანდუმების გაფორმება უცხოურ უნივერსიტეტებთან;

○ სასურველია ინგლისურენოვანი კურსების შექმნა, რომლებსაც შესთავაზებენ ერასმუს+ პროგრამით ჩამოსულ ევროპელ სტუდენტებს;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზნიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგები. პროგრამის სწავლის შედეგები განსაზღვრულია პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებით, რომელიც შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს. პროგრამით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული ელემენტების თანხვედრის უზრუნველყოფის მიზნით სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში მონაწილეობას იღებდნენ როგორც პროგრამის აკადემიური პერსონალი ასევე პოტენციური დამსაქმებლები, პროგრამის შედეგებზე მუშაობისას ასევე გათვალისწინებულ იქნა, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინდივიდუალური კონსულტაციებისა და შეხვედრების ფორმატში მიღებული ინფორმაცია და შენიშვნები. სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები ასევე მოცემულია შესაბამისი საგნების სილაბუსებში. პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს ყველა იმ უნარს, რომელთა განვითარებასაც ემსახურება პროგრამაში ჩართული თითოეული სასწავლო კურსი. პროგრამის სწავლის შედეგები იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს.

პროგრამა შემუშავდა და გაუმჯობესდა შრომის ბაზრის კვლევის ანალიზის საფუძველზე, შესაბამისად პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგები შეესაბამება საერთაშორისო ურთიერთოებების სფეროში დასაქმების მოთხოვნებს. მიუხედავად ამისა სასურველია სამომავლოდ დანერგილი იქნას პროგრამის სწავლის შედეგების სისტემატიური შეფასების მექანიზმი და დაიხვეწოს კიდევ უფრო პროგრამის სწავლის შედეგების გეგმა და რუკა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათებლო პროგრამა და სილაბუსები; ○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; ○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი;
რეკომენდაციები: • პროგრამის სწავლის შედეგების სისტემატური შეფასების დანერგვა და პროგრამის სწავლის შედეგების გეგმის და რუკის შემდგომი დახვეწა;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების ძირითადად შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
ახალი უმაღლესი სასწავლებელის საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შესაბამისობაში არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესთან. პირს სტუდენტის სტატუსის მოპოვება შეუძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“ შესაბამისად. ასევე, მობილობის წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად. პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების ერთი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, პროგრამაზე

დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ინფორმაცია მოცემულია როგორც პროგრამის აღწერილობაში, ასევე ახალი უმაღლესი სასწავლებლის ვებგვერდზე. ახალ უმაღლეს სასწავლებელში, საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია გამოცდილი და კვალიფიცირებული აკადემიური და მოწვეული სპეციალისტების არსებობა. ამ კუთხით საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს კვალიფიცირებული აკადემიური პერსონალი რაც სასწავლებლის ძლიერ მხარეს წარმოადგენს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის აღწერილობა; ○ ახალი უმაღლესი სასწავლებლის ვებ-გვერდი www.newuni.ge ; ○ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდი www.naec.ge . ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ვიზიტის შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს - სადაც სავალდებულო ნაწილს ეთმობა 165 კრედიტი (70 კრედიტი - არასპეციალობის კომპონენტს, მათ შორის 10 კრედიტი საკომუნიკაციო კომპეტენციებზე მიმართული არასპეციალობის სასწავლო კურსები და 60 კრედიტი ინგლისური ენის კომპონენტს; 95 კრედიტი - სპეციალობის კომპონენტს, მათ შორის: 85 კრედიტი სასწავლო კურსებსა და10 კრედიტი პრაქტიკას); არჩევითი ნაწილი მოიცავს 75 კრედიტს (სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სპეციალობისა და საერთო არჩევით (არასპეციალობის) სასწავლო კურსებს, სხვა საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან აღებულ ე.წ. თავისუფალ კრედიტებს). I სასწავლო წლის პირველ სემესტრში, სავალდებულო საგანთა ჩამონათვალში მითითებულია **სავალდებულო უცხო ენა** და **სავალდებულო მეორე უცხო ენა.** ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო დაწესებულება სტუდენტს ინგლისურთან ერთად სთავაზობს გერმანული და ფრანგული ენებიდან არჩევითად კიდევ ერთ სავალდებულო უცხო ენას. თუმცა სასწავლო გეგმაში არ არის მითითებული რომელი დონით არის შესაძლებელი მისი ათვისება. ისევე როგორც ინგლისური ენის დონე, რაც გაურკვეველს ხდის ენის ათვისების პრაქტიკას. გარდა ამისა, სასწავლო პროგრამით ინგლისური ენისთვის დათმობილი 40 კრედიტიდან 20 კრედიტი ეთმობა დარგობრივი ინგლისური ენის შესწავლას, ვფიქრობთ, მოცემულობა მოითხოვს მეტ არგუმენტაციას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები; • უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგიის და დამტკიცების პროცედურა ; • კურიკულუმის რუკა • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • ვიზიტის შედეგები;
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია სასწავლო პროგრამაში მითითებული **სავალდებულო უცხო ენა 1 (2)** შესწორდეს და მეტი სიცხადისთვის მოხდეს მისი აღიარებული წესით ჩაწერა - ინგლისური ენა A.1-დან ინგლისური ენა B.2-მდე. აგრეთვე გადაიხედოს დარგობრივი ინგლისური ენის ნაწილი. ვფიქრობთ შესაძლოა მიეწოდის სტუდენტს B.2 დონის გავლის შემდეგ და ამისთვის საკმარისია 5-10 კრედიტი.

დაკონკრეტდეს **სავალდებულო მეორე უცხო ენა 1 (2)** (გერმანული/ფრანგული) შესაბამისი დონეების მითითებით. პროგრამის განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია სფეროში მოღვაწე იმ პირების ჩართულობა, რომლებიც სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობენ და შეუძლიათ თეორიულთან ერთად პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება სტუდენტებისთვის;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა ძირითადად დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს მრავალფეროვან სავალდებულო თუ არჩევით ინდივიდუალურ სასწავლო კურსებს, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტისთვის, როგორც თეორიული ცოდნის მიცემაზე, ასევე მათთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას, რომელიც მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსში მოცემული სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს.

პროგრამის განახლებისას ერთ-ერთი უმთავრესი ეტაპი იყო სილაბუსების გადახედვა. შეფასდა თითოეული ინდივიდუალური სასწავლო კურსის შინაარსის შესაბამისობა მის სწავლის შედეგებთან, ასევე დეტალურად შეფასდა სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: - რამდენად შეესაბამება ისინი სასწავლო კურსის მიზნებს; რამდენად გაზომვადი და მიღწევადია სწავლის შედეგები; რამდენად ადეკვატური სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები გამოიყენება. შეგვიძია ვთქვათ, რომ სასწავლო კურსების თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება, რადგან გამოიყენება ადეკვატური შეფასების მეთოდები. სილაბუსების განახლებისას სილაბუსების ავტორებს/განმახორციელებლებს რეკომენდაციებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აძლევდა. სასწავლო კურსებს ძირეული შინაარსობრივი ცვლილებები არ განუცდია, თუმცა განახლდა სასწავლო ლიტერატურა და რიგ შემთხვევებში დაზუსტდა შეფასების სისტემა, შეფასების კომპონენტების გადანაწილება და მოხდა სილაბუსების ტექნიკური სრულყოფა. პროგრამის განმახორციელებელი პირები მუდმივად ზრუნავენ, რომ სასწავლო მასალა იყოს თანამედროვე და ეყრდნობოდეს დარგის აქტუალურ მიღწევებს, სასწავლებლის ადმინისტრაცია კი მათ ინიციატივებს მხარს უჭერს, ამას ადასტურებს 2018 წელს ჩატარებული გამოყენებითი კვლევების კომპანია (ARC)- ის კვლევის, კერძოდ კი პერსონალის გამოკითხვის, შედეგები. პერსონალის აბსოლუტური უმრავლესობა ეთანხმება, რომ ადმინისტრაცია, მოთხოვნის შემთხვევაში, ზრუნავს საბიბლიოთეკო რესურსის განახლებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები ; ○ კურიკულუმის რუკა; ○ „გამოყენებითი კვლევების კომპანიის - ARC“ მიერ ჩატარებული პერსონალის გამოკითხვის შედეგები; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ვიზიტის შედეგები;
რეკომენდაციები: ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი ბლოკი მაქსიმალურად მიუახლოვდეს პროგრამას. საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა - გადაზიდვების სამართალი ბიზნესის ადმინისტრირების სფეროა და მას საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამა ვერ შესთავაზებს სტუდენტს; • საგანს „პოლიტიკის მეცნიერებების საფუძვლები“ შეეცვალოს სახელი და დაერქვას "პოლიტიკის შესავალი";

• საგანს „გეოპოლიტიკა - წარსული და თანამედროვეობა“ შეეცვალოს სახელი და დაერქვას "გეოპოლიტიკა" ; • საგანს „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები“ შეეცვალოს სახელი და დაერქვას "კვლევის მეთოდები"; • საგანი „ნაციონალიზმის თეორია“ გადავიდეს არჩევით ბლოკში, ხოლო საგანი „პოლიტიკური იდეოლოგიები“ გადმონაცვლდეს ძირითადში;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერტული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
თვითშეფასების დოკუმენტით, აგრეთვე ინტერვიუებით ირკვევა, რომ უმაღლესი სასწავლებელის ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობის ზრდა პროგრამის ერთ-ერთ გასაუმჯობესებელ მხარეს წარმოადგენს. პრაქტიკის ობიექტებთან მემორანდუმების და მათი მრავალფეროვნება ახალი უმაღლესი სასწავლებლის პრიორიტიტეტია და ის ასახულია სასწავლებლის სამოქმედო გეგმაში. სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარების მიზნით უმაღლესი სასწავლებელი ატარებს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებს. მონაწილეთა წახალისებისა და ინტერესის ზრდის უზრუნველსაყოფად კი ბროშურის სახით, ყოველწლიურად გამოსცემს კონფერენციების თეზისებს. უმაღლეს სასწავლებელში თითქმის არ ხდება „Erasmus+“-ის და სხვა ალტერნატიული პროგრამების ფარგლებში სტუდენტთა საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობის უზრუნველყოფა (მემორანდუმის საფუძველზე სტუდენტთა მობილობა ერთეული შემთხვევაა და ის არ ცვლის საერთო სურათს).

რაც შეეხება თანამშრომლობის მემორანდუმებს, ისინი მართალია ქმნის საფუძველს სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისთვის თუმცა ეფექტური თანამშრომლობის შედეგების დადასტურება ვერ ხერხდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მონაცემები სტუდენტთა ჩართულობის შესახებ სამეცნიერო-კვლევით, საერთაშორისო პროექტებში/ტრენინგებში და წამახალისებელი ღონისძიებები); ○ ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან; ○ ახალი უმაღლესი სასწავლებლის მიერ ჩაარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ RC-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები ○ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენიტი; ○ ვიზიტის შედეგები;
რეკომენდაციები: ხაზგასასმელია, რომ ინტერნაციონალიზაციის პროცესები აღნიშნულ უნივერსიტეტს დაწყებული აქვს, თუმცაუცილებელია მოცემული პროცესები გაღრმავდეს მიმდინარე პროგრამის ფარლებში, რათა სამომავლოდ მეტად იქნას უზრუნველყოფილი სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში ჩართულობა და საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო განავითარებს სტუდენტების შესაძლებლობებს და მეტად ხარისხიანს გახდის საგანმანათლებლო პროგრამას .
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია სტუდენტზე და ის ითვალისწინებს: ლექციას, ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკული მუშაობას, სემინარს, ელექტრონული რესურსით სწავლებას და სხვ. სწავლება-სწავლის მეთოდები აღწერილობის მიხედვით არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება ან/და მეთოდების კომბინირება, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდის ან მეთოდთა კომბინაციის შერჩევა დამოკიდებულია ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკაზე, დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებზე. სწავლა/სწავლების მეთოდები თითოეული სასწავლო კურსისთვის მოცემულია სილაბუსში, ლექტორი კი უზრუნვლყოფს მის გაცნობას სტუდენტებისთვის პირველივე სასწავლო კვირას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები . ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ○ ვიზიტის შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშით, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ ცოდნის შეფასებისას გამოყენებული კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ის უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას, სტუდენტებსა და აკადემიურ/ მოწვეულ პერსონალს შორის უკუკავშირს. ინფორმაცია სტუდენტის შეფასების შესახებ ხელმისაწვდომია. შეფასების სისტემა განთავსებულია პროგრამის აღწერილობაში, ასევე თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში დეტალურადაა გაწერილი კრიტერიუმები. შეფასების კომპონენტი სრულად ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და უზრუნველყოფს სასწავლო კურსით გათვალისწინებულ შედეგების მიღწევას. სტუდენტთა შეფასების ანალიზისთვის გამოიყენება გაუსის სკალა, რაც შეფასების ვალიდურობას უწყობს ხელს. გარდა ამისა, თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში, სტუდენტს ეძლევა საშუალება ლექტორისაგან მიიღოს საკუთარი ნაშრომისა და ქულის შესახებ უკუკავშირი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები ○ „გამოყენებითი კვლევების კომპანიის“ (ARC) მიერ ჩატარებული სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შედეგები ○ გაუსის სკალის მონაცემების ნიმუში ○ შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან ○ „ახალი უმაღლესი სასწავლებლის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (https://drive.google.com/file/d/0BwwY1ma_h6mrTlg2ZHZWM18zWmc/view). ○ ვიზიტის შედეგები;
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **პრაქტიკის ობიექტების რაოდენობის გაზრდა**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს პირველივე სემესტრიდან ეძლევათ ინფორმაცია სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ. სასწავლო წლის დასაწყისს იმართება საკონსულტაციო შეხვედრები პირველკურსელებთან, სადაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი აცნობენს სტუდენტებს სასწავლო პროცესის მართვის სისტემას, ანიჭებენ შიდა ბაზების წვდომისათვის საჭირო ავტორიზაციას, ასევე აცნობენ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომ სერვისებსა და კონსულტაციებს. პროგრამის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ასევე ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისათვის კონკრეტულ პროფესორთან დადგენილი საკონსულტაციო საათების შესახებ. სწავლის პროცესში პროფესორ/მასწავლებლებს გაწერილი აქვთ, როგორც სალექციო/სასემინარო, ისე საკონსულტაციო განრიგი, თითოეული ბაკალავრი საჭიროების შემთხვევაში იღებს კონსულტაციებს. ამასთანავე, სტუდენტს სასწავლო პროცესის მანძილზე ელექტრონული საფოსტო მიმოწერის გზით საჭირო ინფორმაციის მიღების საშუალება აქვს კურსის ნებისმიერი ლექტორისაგან - ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია იმ ლექტორთა საკონტაქტო ინფორმაცია, რომლებიც უძღვებიან ამა თუ იმ საგნის სალექციო კურსს. სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ლექტორებთან კომუნიკაციისთვის და სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის მისაღებად აქტიურად გამოიყენება სოციალური ქსელში შექმნილი საკომუნიკაციო თემატური ჯგუფები. ამასთანავე სტუდენტები სარგებლობენ ელექტრონული ბაზით - „სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული სისტემა“, რომელზედაც პროგრამის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი ახდენს სტუდენტებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ატვირთვას, გარდა ამისა სტუდენტებს ინფორმაციის მიღება შეუძლიათ როგორც უშუალოდ ადმინისტრაციისგან ისე აკადემიური პერსონალისგან ელექტრონული ფოსტისა და სოციალური ქსელის გამოყენებით. მნიშვნელოვანია ფაკულტეტის ადმინისტრაციის უშუალო მონაწილეობა სტუდენტთა მივლინებებში უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სამეცნიერო კონფერენციებში. ახალ უმაღლეს სასწავლებელში ფუნქციონირებს საერთაშორისო ურთიერთობის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას არსებული გაცვლითი პროგრამების შესახებ, ხელს უწყობს მათ მობილობას, საკონსულტაციო მომსახურებას უწევს გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტებს. დაწესებულება მათ სთავაზობს გაცვლით პროგრამებს ქ. ვარშავასა და ქ. კიევში. გარდა ამისა საერთასორისო ურთიერთობების პროგრამის სტუდენტებისათვის პერიოდულად ეწყობა უცხოელი და ადგილობრივი პროფესორებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დარგობრივი უწყებების წარმომადგენლების ვიზიტები, რომლებიც ატარებენ ლექცია-სემინარებს. როგორც ინტერვიებითა და თვითშეფასების დოკუმენტით

ჩანს 2018 წლის აპრილში ახალმა უმაღლესმა სასწავლებლმამოიწვია ინგლისური ენის სპეციალისტი ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ინგლისური ენის უფასო კურსებთან ერთად, ახალი უმაღლესი სასწავლებელი საშუალებას აძლევს სტუდენტებს უფასოდ დაეუფლონ პოლონურ ენას და პოლონური ენის კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ სწავლა გააგრძელონ ვარშავის სხვადასხვა უნივერსიტეტში სასტიპენდიო პროგრამებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასება; ○ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის სილაბუსები; ○ მონაცემები სტუდენტთა ჩართულობის შესახებ სამეცნიერო-კვლევით, საერთაშორისო კონფერენციებში/ტრენინგებში და წამახალისებელ ღონისძიებებში; ○ ექსპერტთა ვიზიტის შედეგები;
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • ასევე სასურველია პროგრამის ფარგლებში სალექციო კურსის/ვორკშოპის ჩასატარებლად მოიწვიოს დარგის უფრო მეტი უცხოენოვანი სპეციალისტი/ექსპერტი;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ აღსანიშნავია, რომ ახალი უმაღლესი სასწავლებელი სტუდენტების მოტივაციის ამაღლებისთვის აფინანსებს მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებსა და ტრენინგებზე დასწრებას და ასევე სთავაზობს მათ შეღავათებს სწავლის საფასურის გადახდაში. ამასთანავე, სასწავლებელში ფუნქციონირებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი, რომელიც სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, სისტემატურად აწყობს დასაქმების ფორუმებს;

- აქვე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო გარემოში სტუდენტების ადაპტაციის გაადვილების მიზნით, 2018 წლის აპრილში უნივერსიტეტის მიერ მოწვეული იქნა ინგლისური ენის სპეციალისტი ამერიკის შეერთებული შტატებიდან. სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ ინგლისური ენის კურსის დასრულებისთანავე დაუფლებოდნენ ინგლისურ ენას B2 დონეზე და მიეღოთ შესაბამისი დონის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი. ინგლისური ენის უფასო კურსებთან ერთად, ახალი უმაღლესი სასწავლებელი საშუალებას აძლევს სტუდენტებს უფასოდ დაეუფლონ პოლონურ ენას და პოლონური ენის კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ სწავლა გააგრძელონ ვარშავის სხვადასხვა უნივერსიტეტში სასტიპენდიო პროგრამებით;

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები.

-

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი შერჩეულია ცოდნის, გამოცდილების და კვალიფიკაციის შესაბამისად. მათ გააჩნიათ პროგრამით გათვალისწინებული შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია. აქტიურად არიან ჩართულები შესაბამისი მიმართულების/დარგის განვითარების თითქმის ყველა სამთავრობო, კერძო, თუ სხვა არასამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობის პროცესებში.

პროგრამას ემსახურება 19 აკადემიური პერსონალი (5 პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი, მათ შორის 8 აფილირებული აკადემიური პერსონალი) პროგრამის განხორციელებისათვის მოწვეულია ასევე 8 სპეციალისტი. წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის უმრავლესობა დარგის სპეციალისტებს წარმოადგენენ. თითოეული მათგანის კვალიფიკაცია დასტურდება დიპლომებით, დიპლომს შემდგომი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციით და დარგობრივი სამეცნიერო ნაშრომებით.

აკადემიური პერსონალის უზრუნველყოფის მხრივ პროგრამა მდგრადია. ახალი უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი, ისევე როგორც აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები გაწერილია ახალი უმაღლესი სასწავლებლის წესდებაში. აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის საფუძველზე და მათთან გასაუბრების შედეგად ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ წარმოდგენილ პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე აფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რაც დასტურდება მათ მიერ უახლოეს წარსულში გამოცემული სტატიებითა და სახელმძღვანელოებით.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის განვითარებისათვის საჭირო გამოცდილება და ცოდნა, იგი მჭიდროდ თანამშრომლობს როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ პერსონალთან, რაც საერთო ჯამში, ვთვლით, რომ პროგრამის მდგრადობის გარანტიასაც წარმოადგენს. ხელმძღვანელი ჩართულია, როგორც პროგრამის შემუშავება-შეფასებასა და განხორციელებაში, ასევე პასუხისმგებელია პროგრამის შინაარსის და საუნივერსიტეტო ზოგადი ხარისხის კრიტერიუმების ერთმანეთთან შესაბამისობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ დაწესებულებაში ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია; ○ პერსონალის პირადი საქმეები; ○ პროგრამის წესდება; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ახალი უმღლესი სასწავლებლის მიერ დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია/წესი“ (2017 წლის 27 დეკემბერი);
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, სამომავლოდ პროგრამის განხორციელებაში, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და საუკეთესო პრაქტიკის გადმოღების მიზნით, უფრო მეტი მოწვეული უცხოელი სპეციალისტების ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ყოველწლიურად იღებს მონაწილეობას ახალი უმაღლესი სასწავლებლის დაფინანსებით ორგანიზებულ კონფერენციაში, ხოლო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები სრული დაფინანსებით იბეჭდება კრებულში.

უნივერსიტეტი აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით მუდმივად უზრუნველყოფს მივლინებებს საერთაშორისო სემინარებსა და კონფერენციებზე. 2014 წლიდან დღემდე, ახალი უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური პერსონალი მივლინებულ იქნა: ქ. ლიონში, ქ. კიშინოვში, ქ. ვარშავაში, ქ. მილანში, ქ. კიევში, ქ. სალონიკში და სხვ (სულ 70 მივლინება). აკადემიური პერსონალის გარდა, კვალიფიკაციის ასამაღლებლად დაფინანსდა 36 ადმინისტრაციული პერსონალის მივლინება.

თუმცა, სამომავლოდ საერთაშორისო არენაზე თანამდეროვე გამოწვევების თვალის გასასწორებლად, აუცილებელია გაფართოვდეს იმ საერთაშორისო უნივერსიტეტების ქსელი, რომლებთანაც თანამშრომლობს სასწავლებელი, რათა სხვადასხვა მობილობისა თუ საგრანტო პროგრამების მეშვეობით მიეცეს აკადემიურ პერსონალს როგორც საკუთარი სამეცნიერო გამოცდილების გამდიდრება, ისე საერთაშორისო პრაქტიკის სასწავლებლის სტუდენტებისათვის გაზიარების საშულება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულებაში ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ინტერნაციონალიზაციის პროცესებში აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობის მიზნით, სამომავლოდ უზრუნველყოფილი იქნას ერაზმუს+ ის და/ან სხვა შესაბამისი პროგრამის ფარგლებში აკადემიური პერსონალის მობილობა საერთაშორისო მაღალრეიტინგულ უნივერსიტეტებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
უნივერსიტეტი პასუხობს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური აღჭურვილობის მიმართ დაწესებულ მოთხოვნებს, რაც პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის აკრედიტაციის მანძილზე მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება 2017 წელს განხორციელდა - გამრავალფეროვნდა შესაბამისი ტექნიკით და ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, საპროფესოროები, ბიბლიოთეკა (წიგნადი და ელექტრონული), კომპიუტერული ცენტრი, სასწავლებელმა სტუდენტთა საერთო რაოდენობის გაზრდის მიზნით, დაიმატა მეორე კორპუსი. პროგრამის სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია კომფორტული სასწავლო გარემო სწავლებისათვის განკუთვნილი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, კერძოდ, სასწავლო პროცესში პროფესორებისთვის და სტუდენტებისთვის ხელმისაწდომია პროექტორი, პერსონალური კომპიუტერები. სასწავლო პროგრამის ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური ინტერნეტის ქსელში ჩართული პერსონალური კომპიუტერებით, გააჩნიათ თავისუფალი წვდომა პრინტერებთან და სხვა სახის ტექნიკურ მოწყობილობებთან, რომელიც საჭიროა პროგრამის მომსახურებისთვის. ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფილია საჭირო საკანცელარიო ნივთებითა და მასალებით; სასწავლო კორპუსში უზრუნველყოფილია თავისუფალი წვდომა უსადენო ინტერნეტთან (Wi-Fi). სასწავლო პროგრამას აქვს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მხარდაჭერა, რომელშიც განთავსებულია ქართულენოვანი და უცხოენოვანი წიგნადი ფონდი. წიგნადი ფონდი მოიცავს სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას და დამატებითი სახელმძღვანელოებს როგორც ბეჭდური ასევე ელექტრონული სახით. სტუდენტები ასვე სარგებლობენ დაუბრკოლებლად ელექტრონული ბაზებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფაქტობრივი მდგომარეობა; ○ ვიზიტის პროცესში ინტერვიუებზე მიღებული ინფორმაცია; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია სამომავლოდ გამრავალფეროვანდეს და განვითარდეს ბიბლიოთეკის ფონდი, შეივსოს და გამდიდრდეს საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამის კურსების თემატიკის შესაბამისად თანამედროვე ლიტერატურით და იმ დამატებითი გამოცემებით, რომლებიც მიმოიხილავენ საერთაშორისო ურთიერთობების დარგის უახლეს გამოწვევებს. • მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ სტუდენტებს აქვთ გამოყოფილი დასასვენებელი სივრცე, სასურველია სამომავლოდ მოეწყოს სტუდენტებისათვის სასადილო სივრცე, იმ სახით რომლითაც სარგებლობა მიმზიდველი იქნება სტუდენტებისათვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
ახალი უმაღლესი სასწავლებლის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტით, რომელიც ახალი უმაღლესი სასწავლებლის ცენტრალური ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მოიცავს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის სამსახურებრივი მივლინების ანაზღაურებას და სასწავლო/კვლევით ვიზიტებში მონაწილეობას; სტუდენტების ფინანსურ მხარდაჭერას საზღვარგარეთ მივლინებებში მონაწილეობისათვის, რაც ხელს უწყობს სტუდენტების ცოდნის ამაღლებას, გამოცდილების შეძენას, მათ კონკურენტუნარიანობის ზრდას; სტუდენტთა სტიპენდიებს და სტუდენტური აქტივობების დასაფინანსებლად საჭირო თანხას და პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სხვა ხარჯებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ დაწესებულებაში ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია; ○ უნივერსიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი ; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ აღსანიშნავია, რომ სასწავლებლის სტუდენტები სარგებლობენ როგორც შეღავათიანი საგადასახადო სისტემით, ასევე ეფექტური სასტიპენდიო პროგრამით. ასევე სარგებლობენ უნივერსიტეტის მხრიდან სრული ფინანსური მხარდაჭერით სამეცნიერო კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით. ყოველივე ეს კი თავის მხრივ უზრუნველყოფს სამომავლოდ კვალიფიციური და მაღალპროფესიული კადრების მომზადებას და ამაღლებს სტუდენტებში შემდგომი სამეცნიერო საქმიანობის გაგრძელების მოტივაციას.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს სასწავლებელში კოორდინირებას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სასწავლებელში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას და მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმებს, პერსონალის (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე) საქმიანობის შეფასებას, სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმებს.

პროგრამის ხარისხის შეფასების მიზნით ხდება ასევე სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვა. გამოკითხული მხარეები ადასტურებენ პროგრამის ხარისხის განვითარების პროცესში მათ ჩართულობას და ასევე, მათ მიერ დასახელებული ნაკლოვანებების გათვალისწინებას. ასევე, გამოიკვეთა პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში აკადემიური და ადმინისტრაციულ პერსონალის აქტიური ჩართულობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (https://drive.google.com/file/d/0BwwY1ma_h6mrcmxVUTAxTGtnXzg/view); ○ თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადასტურებს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმის არსებობას. გარე ხარისხის შეფასების ძირითადი ინსტრუმენტია აკრედიტაციის პროცესი. 2014 წელს აკრედიტაციის ექსპერტების მიერ წარმოდგენილ იქნა ცალკეული რჩევები და რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. ადმინისტრაციის მართვის ორგანოები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამაში ჩართული პერსონალი და ფაკულტეტის სხვა და სახვა სტრუქტურული ერთეული გარე შეფასების შედეგებს იყენებენ პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • აუდიტის სამსახურის კვლევის შედეგების ანგარიში; • ხარისხის სამსახურთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი ხორციელდება ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის მომზადების კვალდაკვალ, ხოლო პერიოდული შეფასების მიზნით ტარდება სამუშაო შეხვედრები პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან. ასევე, პერიოდულად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები სასწავლო კურსების და ლექტორების შეფასების მიზნით, სტუდენტთა ფოკუს-ჯგუფები, კურსდამთავრებულთა, პერსონალის და დამსაქმებლის გამოკითხვები. გამოკითხვების შედეგების ანალიზისა და შეფასების შედეგად პროგრამა განიცდიდა მოდიფიკაციას. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს ჩატარდა აკადემიური პერსონალის და სტუდენტების გამოკითხვა. სტუდენტებმა და პერსონალმა შეაფასეს ახალი უმაღლესი სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. ამასთანავე პროგრამასთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმა დაინტერესებულ მხარეებს შეეძლოთ პროგრამის მოდიფიცირებისა და რეაკრედიტაციის პროცესის მზადებისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობის მეშვეობით. სამუშაო ჯგუფის შეხვედრები პროგრამის შეფასების ერთ-ერთი, საკმაოდ ეფექტური მექნიზმია, რადგან ცოცხალი კომუნიკაციის მეშვეობით პროგრამის დაინტერესებული პირები განიხილავენ პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელთაგან ნაწილი ასახვას პოვებს პროგრამაში. კვლევის მიმართულების გაძლიერების მიზნით, ახალი უმაღლესი სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში 2018 წელს დაემატა კვლევითი ცენტრის თანამშრომელი და გამოცდილი მკვლევარი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სხვადასხვა გამოკითხვებზე და მათ ანალიზზე, დაიხვეწა გამოკითხვის ფორმები და დაინერგა გამოკითხვების ელექტრონულ პლატფორმაზე ჩატარების პრაქტიკა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ხარისხის სამსახურთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები; ○ 2018 წლის სტუდენტების და პერსონალის კმაყოფილების კვლევა; ○ o გამოკითხვის ფორმები; ○ o პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ;
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია პერიოდულად მოხდეს პროგრამის შედარება სხვა ანალოგიურ პროგრამებთან თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;

• სასურველია დაინერგოს კურსდამთავრებულებთან მუდმივი კომუნიკაციის და სისტემური მიდგომების პრაქტიკა, რათა მოხდეს პროგრამის შეფასების მიზნით მათთან უკეთ თანამშრომლობის უზრუნველყოფა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებელი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 34 გვ

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

დავით გეგეჭკორი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ირაკლი გორგილაძე

ნანა ფირცხელანი